განმცხადებელი : თინათინ შარაშენიძე

თარიღი : 05-10-2017

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: 1, 2 , 3 , 5 ,11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები :

სათაურში წერია "რა თანხებს ედავება კონტროლის პალატა". კონტროლის პალატა არავის არაფერ არ ედავება, სტატიაში არც კონტროლის პალატის სადაო მასალა და არც კონტროლის პალატის რაიმე კომენტარი არ არის. აუდიტის დასკვნა მაქვს ხელში სადაც წერია, რომ შესრულებული სამუშაოები ექვემდებარება კანონმდებლობის ნორმებს. გიგზავნით აუდიტის დასკვნას. აუდიტის დასკვნაში არ იკვეთება უკანონოდ მილიონობით ლარის ხარჯვა. არ არის მოყვანილი დოკუმენტაცია სადაც ეს წერია. დასკვნა შეეხება 2012 წელს მაგრამ შარაშენიძე დაინიშნა 2012 წლის დეკემბერში, ფაქტების დიდი ნაწილი ეხება დეკემბრამდე პერიოდს. არავითარი შეხვედრა 2012 წელს ნაციონალურ მოძრაობის არცერთ წევრთან არ ქონია, ეს არის სრული სიცრუე. (თუ არსებობს ფაქტი გამოაქვეყნონ). რამიშვილის ფაქტზე არსებობს ექსპერტიზის დასკვნა სადაც არ დასტურდება სროლის ფაქტი.

სტატია არ არის ოფიციალური, უფრო სალანძღავ წერილს ჰგავს, რომელიც ჟურნალისტის მიერ დაწერილს არ ჰგავს, ეს უფრო პირადი შურისძიებაა.

ასევე იქ წერია როგორ ჩაარტყა იარაღი ბატონმა კონსტანტინემ მოქალაქეს და შემდეგ როგორ ისროლა, ამასთან დაკავშირებით ჩატარდა გამოძიება, გაკეთდა სამხარაულის ექსპერტიზა, სადაც გარკვევით წერია, რომ არ ჰქონდა ჩარტმის და სროლის ფაქტს ადგილი, ამას აღიარებს თვითონ ის ადამიანიც, რომელთანაც მოხდა დაპირისპირება, მისი კომენტარის ჩაწერაც შემიძლია.

ბატონ ბეგლარ სიორიძეს (ქართული ოცნების კანდიდატს ოზურგეთში) გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სააგენტოებთან ამას არც სააგენტოები უარყოფენ და პასუხი არის ის რომ ჩვენ რასაც გვიგზავნიამ იმას ვწერთ, მაგრამ როგორ შეიძლება გადაუმოწმებელი ინფორმაციის გაშვება მედიის საშულების მხრიდან?! ეს სტატიები ეძღვნება არა ბატონი ბეგლარის წინასაარჩევნო კამპანიას არამედ მისი ოპონენტის ანტი პიარს რომელიც ტყუილებზე არის აგებული.

სტატიაში მოყვანილ ინფორმაციას აქვს თავისი ახსნები, ყველა გადახდაზე არსებობს სამხარაულის დასკვნა, რომელიც კონტროლის პალატას აქვს ასევე იმ შესრულებული სამუშაოების ნახევარი განხორციელებულია მანამდე სანამ ბატონი კონსტანტინე შეუდგებოდა ოზურგეთის გამგებლის პოსტს.

შესწორებისთვის მივმართე რრდაქტორს, რა თქმა უნდა ფაქტები ვერ წარმიდგინა და მითხრა რას ინტრიგნობ გოგონა რაც გინდა ის ქენიო.

მტკიცებულება იმის შესახებ რომ იხდიან თანხას ამ სტატიებში არ მაქვს, მაგრამ ეს მოვისმინე თვითონ რედაქტორისგან, რომ მათ აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული და რასაც მიაწოდებენ უნდა დაწეროს ვალდებულია..

სადავო მასალა **:** http://www.for.ge/view.php?for_id=50671&cat=2

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : ადექი და მიჩივლე რას მემუქრები

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები